

ხელნაწერთა ინსტიტუტის  
მ ო ა მ ბ ე

I V

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

---

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

# მოაგბე

IV

---

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი

1962

ც. კურციძემ

## ირიბი ობიექტის ბრუნვები ძველ ქართულში

ირიბი ობიექტის ძირითადი ნიშანთვისება ქართულში ისაა, რომ იგი ყოველთვის წარმოდგენილია ზმნაში პირის ნიშნით და დგას მხოლოდ და მხოლოდ უთანდებულო მიცემით ბრუნვაში.

ძველი ქართული ენის ძეგლებში ირიბ ობიექტთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო ფაქტი შეინიშნა — ზოგიერთ ზმნასთან ირიბი ობიექტი უთანდებულო მიცემითი ბრუნვის გარდა დასტურდება აგრეთვე თანდებულის მიცემითში, თანდებულის ნათესაობითში და ე. წ. ნანათესაობითარ ვითარებითში.

თანდებულთაგან ირიბ ობიექტთან შეგვხვდა ზედა, თანა, წინაზე და გან თანდებულები. პირველი სამი ირიბ ობიექტში განარჩევს ვინ და რა ჯგუფის სახელებს და მათ შესაბამად, ცნობილი წესის მიხედვით<sup>1</sup>, ნათესაობით და მიცემით ბრუნვებში წარმოგვიდგენს; გან თანდებული კი განურჩევლად ვინ და რა ჯგუფებისა ირიბი ობიექტის გამომხატველ სახელებს ნათესაობით ბრუნვაში მართავს; რაც შეეხება ე. წ. ნანათესაობითარ ვითარებითს, ამ ბრუნვაში ირიბ ობიექტად მხოლოდ და მხოლოდ ვინ ჯგუფის სახელები დასტურდება.

I. ირიბი ობიექტი ზედა თანდებულის მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში

### მიფენა

ამ ზმნასთან ირიბი ობიექტი მიცემითი ბრუნვის ფორმით იშვიათად გვხვდება, უფრო ხშირია იგი ზედა თანდებულის მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში:

„მამაო... ლოცვაჲ და კურთხევაჲ შენი მასცა მიჰტინეთ“ — ლიტ. სიონსა ზედა“ — Jer. — 11, 89ra.  
ქრესტ. 143,26

„მიეჰტინო გულისწყრომაჲ ჩემი მის ზედა“ — სინ. მრ. 189,15.

„მამაო გიორგი... მოწყალეება შენი უხუებით მიჰტინე გლახაკთა ზედა“ — გ. მთწმ. 73v.

ენებითი გვარის ფორმებს „მიფენა“ ზმნა ე პრეფიქსით აწარმოებს, ირიბი ობიექტი მათაც აგრეთვე უთანდებულო მიცემითსა და ზედა თანდებულის მიცემითსა და ნათესაობითში შეეწყობა:

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, „წინაზე“, „თანა“ და „ზედა“ თანდებულთა სინტაქსური ფუნქციონისათვის ძველ ქართულში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, №№ 2,3, 1942.

„ტეშმარიტებაჲ ყოველსა სოფელსა მიეფინების“—სინ. მრ. 234,28.

„ელვანი მადლისანი უხუებით მოგეფინეს შენ“—გ. მთწმ. 81r.

### დადება.

„დასდვა ტელი წმიდამან ნინო ერთსა ქეასა“—მოქც. 487 B.

„ეშმაკმან... დასდვა ძილი პატროკლეს“—აპოკრ. მოც. 49,23.

ამ ზმნის ვნებითი გვარის ფორმაზე მხოლოდ ერთი მაგალითი შეგვხვდა, ირიბი ობიექტი მასთან მიცემით ბრუნვაშია წარმოდგენილი: „კკონ მოოსსა დაედვა განკვრებაჲ და შეუვრდა ფერტა მისთა“—კიმ. II, 192, 3.

### დასხმა.

„ტელნი ჩემნი დავასხენ ერქუნასა“—აპოკრ. მოც. 18, 43.

„მე ვითარ დავასხა ცეცხლსა საკუმეველი ესე“—სინ. მრ. 26, 7.

ზედა თანდებულისანი ირიბი ობიექტი ამ ზმნის ვნებითი გვარის ფორმებთანაც დასტურდება:

„დაესხა ბუზი იგი ცხენთა და პილოთა და სხუათა ცა პირუტყუთა“—Ephr. 86, 23.

### დადგმა.

„ანგელოზი უფლისა დაადგა მათ“—ლუკა 2,9C.

„არავინ სადგმელი უმზრკენელი ახალი დაადგის სამოსელსა ძუელსა“—მარკ. 2,21; ლუკა 5,36.

„რათა ახალნი შარავანდნი დადგენენ მათ“—სინ. მრ. 187,20.

### დაკრება.

„წარვიდენ და ქეა დაჰკრიბონ იოვანეს“—აპოკრ. მოც. 85, 33.

„სულნელება დიდალი მიეფინებოდა ყოველსა ზედა ქუეყანასა“—მოქც. 492a.

„ნაკადულნი ცხორებისანი პირსა ზედა ქუეყანისა და ნათესავისა ჩუენისასა მიეფინეს“—გ. მთწმ. 17v.

„ერი იგი დასდებდა კერმასა ფასის შესაწირავსა მას ზედა“—მარკ. 12, 41C.

„წყლულებაჲ დასდევს მის ზედა და განაძეს იგი ქალაქით“—სინ. მრ. 65, 8.

სკემონ... დაასხნა ტელნი მისნი მას ზედა—Sym. St. 6, 17.

მოიღეს შეშაჲ და თივაჲ და ნაფთი და დაასხეს გუამსა მას ზედა“—ლიტ. ქრესტ. 67, 47.

„მოუტდეს, დაასხნეს ტელნი მათნი იესუს ზედა და შეიპყრეს იგი“—მათე 26, 50 DE.

„მოიწია მათ ზედა ღრუბელი და მკალი და ბუზი და დაესხა პილოთა ზედა“—Ephr. 86, 22.

(იესუ)... „დაადგა მას ზედა და შეჰრისხნა სიცხესა მას“—ლუკა 4,39.

„არავინ სადგმელი ნახევისა უმზრკველისაჲ დაადგის სამოსელსა ზედა ძუელსა“—მათე 9,16.

„და მიედგას მათ ზედა საქმე ჯობნისაჲ“—ბალავ. 145, 10.

„ქვები აღიღეს, რათამცა დაჰკრიბეს მის ზედა“—იოვ. 8,59C.

**ჯუარის დაწერა.**

(სტეფანე)... „ჯუარი დასწერა ჯგონებდა ხილვასა მას საუცრად ერსა მას“—სინ. მრ. 61,1. და დასწერა ჯუარი მას ზედა“—Sym. St. 24, 21.

**დათხევა.**

„რომელნიმე ცრემლთა წილ სისხლთა დასთხევდეს გუამსა მას მისსა ზედა წმიდასა“—გ. მთწმ. 53v.

(მეფემან)... მოიხუნა შარაევანდრი თჳსნი და დასთხია ქვეყანასა ზედა“—კიმ. I, 155,20.

**სხურება.**

„მიიღე მტურისა ამისგან და ას- „ალიღეთ მტური ესე და ასხუ- ხური დედაკაცსა მას“—Sym. St. რეთ მათ ზედა“—Sym. St. 19,16. 30, 7—8.

**დაკრვა.**

(მკლომმან)... მანქანებითა მისითა ჳელთა მისთა ათნივე თითნი ნებთა მისთა ზედა დაჰკრნა“—ლიტ. ქრესტ. 136, 39.

**დაცემა.**

ზედა თანდებულიან ბრუნვებში გვხვდება ირიბი ობიექტი ამ ზმნის ე პრეფიქსით ნაწარმოებ ნებითის ფორმებთანაც:

„ლოდი... ყოველსა რომელსა „მესდულეთა ზედა შენთა და- დაეცეს, განიქრიოს იგი“—სინ. ეცა მოსრვაჲ“—Jer.—11, 36r a. მრ. 196, 15.

„და რომელთა ესმა, განკჳრვე- „დაეცა მათ ყოველთა ზედა ბაჲ დაეცა“—ლიტ. ქრესტ. 260v. შიში დიდი“—Ephr. 83, 22. „შიში დაეცა მათ ზედა“—ლუ- კა, 5,26.

ზემოთ ჩამოთვლილი ზმნების უმეტესობა ე. წ. საზედაო ქცევის ზმნებია. რომ მათთან ზედა თანდებულიანი ირიბი ობიექტის ხმარება უჩვეულო არ არის, ამის შესახებ ადრევე იყო თქმული<sup>2</sup>.

ჩვენ მიერ დაძებნილ მაგალითებში ზედა თანდებულიანი ირიბი ობი- ექტი უთანდებულო მიცემითის პარალელურად სხვა შინაარსის ზმნებთანაც დასტურდება. ჩამოთვლილთა გარდა შეიძლება დავასახელოთ:

**შეძინება.**

„რაათა უმრავლესნიცა შესძინე (ადარნესემ)... „შესძინა ძკრი დმერთსა, ნეტარო გ“—გ. მთწმ. 74r. ძკრსა ზედა თჳსსა და სხუაჲ ცო- ლი შეირთო“—ლიტ. ქრესტ. 139,8.

„შესძინოს ღმერთმან შენსა „შესძინეთ უმჯულოებაჲ და მეფობასა აფრიკეთი და ჰრომი და ცოდვაჲ ზედა ისრაელსა“—Jer.— სხუაჲ ყოველი“—კიმ. II, 202, 24. 11, 170.

<sup>2</sup> ა. შანიძე, ქართული ზმნის საქცევი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VI. ტფილისი, 1926, გვ. 321.

„ესეცა თქუმულსა ამას ზედა შეესძინო“—კიმ. II, 189, 35.

**მოვლინება.**

„მოუვლინნეს მას მოწაფენი იგი მათნი“—მათე 22,16.

„მოუვლინე დედასა ზედა ჭაბუკთასა უბადლობა“—Jer—7,115r a.

**მოვლომა/აღმოვლომა.**

„მოუჭდენ შუდნი დედანი კაც-სა ერთსა“—ესაია 4,1.

„ჭურჩიანი... მოუჭდეს ქრისტესა ზედა და იწყეს ცემად და კიცხევად მისა“—ლიტ. ქრესტ. 51,48.

„განაგდეს წილი და აღმოუჭდა წილი იგი იონას“—იონა 1,7.

„წილ-იგდეს უკუე და აღმოუჭდა წილი ასიაჲსა იოვანძის ზედა“—აპოკრ. მოც. 56, 4.

**დამძიმება.**

„ნუ ჯეკმა, რამეთუ დაუძიმებე ჯორცთა მაგათ ზედა“—ლიტ. ქრესტ. 41, 26.

**მოახლება.**

„სუეტი მოეახლა ხარისხსა მას თვსსა“—მოქც. 479B.

„სუეტი.: მოეახლა ხარისხსა მას ზედა“—იქვე, ჭელიშ.

**მიწუთომა.**

„ღმრთისა მსგავსი მოწყალებაჲ ესე არს, რაჲთა კაცი... პირუტყუ-თაცა ზედა მის წუთეს მოწყალებითა“—გ. მთწმ. 24r.

**უფლება.**

„არა ვაუფლე ბილწი ესე და უკეთური კაცი ჯორცთა ჩემთა ზედა“—Sym. St. 66,7.

„არა ჯერ-არს, ვითარმცა მწუხარებაჲ ეუფლა მათ ზედა“—სინ. მრ. 263,4.

**ქმნა.**

„ხოვანე მოწყალე ექმნა წარწყმედასა ზედა ყრმისასა და მათსა მას საცთურსა და ჭირსა“—აპოკრ. მოც. 71,3.

„არა გუნებაჲს, თუ მიზეზ ვექმნეთ ბოროტსა მისსა მოყუასთა ჩემთა ზედა განყვანებითა შენითა“—ბალავ. 80, 35<sup>3</sup>.

II. ირიბი ობიექტი თანა თანდებულიან მიცემითსა და ნათესაობით გრუნებებში

**შერთვა.**

„საბა... კათოლიკისა წმიდისა წესსა შეჭრთნა იგინი“—კიმ. II, 163,8.

„ნუ შეჭრთავ თავსა შენსა მრავალთა თანა ცოდვილთა“—ზირაქ.

<sup>3</sup> უკანასკნელ ორ მაგალითში რომ ი-სთან ე-ს გრაფიკულ შენაცვლებაზე არ შეიძლება ლაპარაკი, ეს კარგად ჩანს მაგალითიდან, სადაც ირიბი ობიექტად I პირია:

„მოყუასი იგი... ევედრებოდა მას და ეტყო- შდრ. DE რედაქციაში იქვე: „სულ- და: სულგრძელ მექმენ ჩუენ ზედა“— გრძელ იქმენ ჩემ ზედა“.

მათე 18,29C.

„ყოველნი ქსნილნი გამოვიდეს და შეერთნეს რიცხუსა მას სამწყყოსთა შენთასა“—აპოკრ. მოც. 14,14.

„ოროგინე განკრწნილისა წვალეზაჲ და თქუმული სხუათა მწუალებელთა განძებულთა თანა შეერთო“—კიმ. II, 202, 36.

**მიყოლა.**

„ძმათაგანნიცა, რომელნი იყვნეს იოპეს, მიჰყვეს მას“—ს. მ. 10, 23 ოც.

„ვიეთნიმე ძმათაგანნიცა იოპით მიჰყვეს მის თანა“—იქვე, ო.

**შერევა.**

„რონელთაჲ-იგი სისხლი პილატე ლუკა 13,1.

შეჰრია მსხუერპლთა თანა“—

**შეძინება.**

„შესძინა ესეცა მას ყოველსა თანა“—ლუკა 3,20.

„მეფე სოლომონ შეეძინა მამათა მისთა თანა“—3 მეფ. 14,21.

**III. ირიბი ობიექტი წინაშე თანდებულიან მიცემითა და ნათესაობით ბრუნვებში**

ირიბი ობიექტი წინაშე თანდებულთ უფრო მეტად ზმნის საობიექტო ქცევის ფორმებთან გვხვდება:

**წარმოთხრობა.**

„მოვიდა ბერი იგი სხუსა ბერისა... და წარმოუთხრა მას რაჲ-იგი ჰრქუა მას ანგელოზმან მან“—ლიმონარი 59,14.

„იგინი... წარემართნეს და მიიწინეს, რაჲთა წინაშე გიორგი ღმრთის-მსახურისა ყოველივე ხილული და სმენილი წარმოუთხრეს“—ლიტ. ქრესტ. 89,40—41.

„ფებრონია მივიდა კრებასა მას წმიდასა... და ყოველნი მღდელნი მრემლნი ანჩისანი მათ თანა და წინაშე ეპისკოპოსთა მათ წარმოუთხრეს ცქირისა სამართალი“—ლიტ. ქრესტ. 145,38.

**წარმოდგინება/წარდგინება.**

„წარმოუდგინეს მას ერთი თანამდები ბევრისა შანთისაჲ“—მათე 18,24.

(გაბრიელ აზნაურმა)  
...წარმოუდგინა წინაშე მის-სა ოთხნი იგი ძენი თჳსნი“—ლიტ. ქრესტ. 107, 41.

„ვითარცა მოვიდეს მვედარნი იგი წარუდგინეს ევსტათი და სტეფანე წინაშე ვეჟან ბუზმირ მარე ზაპნისა და თქუეს“...—ევსტ. 12,7.

**წარმოდგომა.**

„წარმოუდგა მას გამომცდელი იგი და ჰრქუა“—მათე 4,3.

„მოვიდეს სამნი ირემნი და წარმოუდგეს წინაშე მათსა“—ლიტ. ქრესტ. 164,6.

**დაგება.**

„ნუ მისცემთ სიწმიდესა ძალთა, ნუცა დახუგებთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღოთა“—ხანმ. ტექსტ. გვ. 331 (მათე 7,6).

„საბა... მოილო მელოტი თჳსი და დაუგო წინაშე მათსა“—კიმ. II, 148,8.

**დაფენა.**

„სამოსლისა წილ დაუფინნეთ გულნი ჩუენნი წინაშე მისსა“—სინ. მრ. 142, 8.

**დასხმა.**

„სამართალნი მისნი ყოველნი დაგისხენ წინაშე შენსა“—ბალავ. 86, 38.

**განმზადება.**

„იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებაჲ შენი, რომელ განუმზადე-წინაშე პირსა ყოვლისა ერისასა“—ლუკა 2,30-31.

წინაშე თანდებულნი ირიბი ობიექტი სხვა შემთხვევებშიც გვხვდება:

**წარცემა.**

(კოსტანტი)... წარსცის ერთსა მსახურთა მისთაგანსა სამი ბევრი ვეცხლი“—ლიტ. ქრესტ. 75,34.

„თორნიკ კურაპალატისა და თავისა წიგნები მეფეთა წინაშე წარსცა“—იოვ. და ექვთ. 20,4.

**მოგურა.**

„კაცმან... მოჰგუაროს მღდელსა ვერძი უბიწოჲ—ლევიტ. 5,18.

„მოჰგუარნენ იგინი წინაშე მეფისა“—H—341 გვ. 305.

„ანუ თუ თხათაგანი იყოს შესაწირავი იგი მისი და მიჰგუაროს იგი წინაშე ღმრთისა“—ლევიტ. 3,12.

**მიცემა.**

(ნინომ მეფეს)... „დაჰვედრა იაკობ მღდელი, რაჲთა შემდგომად შენსა მან დაიპყრას საყდარი და მის წინაშე მისცა წიგნი იგი ჰელენე დედოფლისა მოწერილი, რომელი მოეწერა ნინოასა“—მოქც. 440B.

**IV. ირიბი ობიექტი განთავსებით ბრუნვაში****განშორება.**

ძველი ძეგლების მიხედვით ეს ზმნა ორპირიან გარდამავალ ზმნადაა მიჩნეული ამგვარი მაგალითების მიხედვით: „რომელნი-იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებნა<sup>4</sup>, მაგრამ „განაშორება“ ზოგჯერ სამპირიანი ზმნის შინაარსითაც გვხვდება. ოღონდ ირიბი ობიექტი მასთან უთანდებულო მიცემითის გვერდით გან თანდებულნიან ნათესაობითშიც დასტურდება:

<sup>4</sup> ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1948—1949, გვ. 94.

„ღმერთმან... არცა განგუაშორ-  
ნეს სანატრელთა მათ მამა-  
თა და ძმათა ჩუენთა“—იოვ. და  
ექვთ. 44,5.

„მე ღმერთსა ვერ განმაშოვ-  
რო“—კიმ. II, 148, 1.

„ნერონ... განაშორენ ჯელნი  
შენნი მათ“—აპოკრ. მოც. 48, სქ. 70.

ირიბი ობიექტი ხან მიცემითშია და ხან გან თანდებულთან ნათესაობით-  
ში „განშორება“ ზმნის ვნებითი გვარის ფორმებთანაც:

„მას, ვითარცა განეშორა ძე-  
წევნაჲ ღმრთისაჲ, ღონე ყოველი და-  
ელია“—ლიტ. ქრესტ. 145, 45.

„ბერი... განეშოვრა ადგილსა  
მას“—კიმ. II, 164, 23.

„რომელი არა განეშორებო-  
და ტაძარსა მას“—ლუკა 2,37C.

„მაცხოვარო, ნუ განმაშორებ  
მამათა ჩემთაგან წმილათა“—  
სინ. მრ. 268, 23.

„ვერვინ განმაშოროს მე  
ქრისტესგან“—ლიტ. ქრესტ 52,42.

„ნერონ... განაშორენ ჯელნი  
შენნი მათგან“—იქვე, 48,30.

„ვითარცა შეწევნაჲ ღმრთისაჲ გა-  
ნეშორა მისგან, ღონე ყოველი და-  
ელია“—ლიტ. ქრესტ. 82,9.

„განეშოვრენით ადგილისა  
მისგან“—Jer.—11, 150va.

„რომელი არა განეშორებოდა  
ტაძრისა მისგან“—იქვე DE.

**განრინება.** „განშორებას“ მსგავსია ამ შემთხვევაში „განრინება“:

„ვინ-მე უკუე განგარინოს შენ  
ჯელთა ჩუენთა“—აპოკრ. მოც. 37,8.

„ყოველი ჰურიჲ განარინეთ პი-  
რისაგან მახჯლისა“—მოქც. 478B.

„ვითარ განარინო კაკები სიკუდილისაგან“—ლიტ. ქრესტ. 166, 22.

„შენამინა მისი და განარინა იგი ღმრთაგან“—Sym. St. 72,19.

**განროშა.** ეს ზმნა გეხედება როგორც ერთპირიანი, („არამცა განერა ყო-  
ველი კორციელი“—მათე 24,22) და როგორც ორპირიანი. ორპირიან ფორ-  
მებთან ირიბი ობიექტის ბრუნვის თვალსაზრისით აქაც იგივე სურათი გვაქვს,  
რაც „განრინება“-სთან; ირიბი ობიექტი უთანდებულო მიცემითთან ერთად  
გან თანდებულთან ნათესაობითშიც ხშირია:

„ვერა რომლითა ღონითა განერე  
სიკუდილსა“—ლიტ. ქრესტ. 85,2.

„ირემი იგი... სიკუდილისაგან  
განერის“—მოქც. 497A.

„შენ არა განერე ჯელთა მათ-  
თა“—Jer.—11,26rb.

„შენ ვერ განერე ჯელთა მათთა-  
გან“—Jer.—11,26va.

„განერე, ვითარცა ქურციკი—სა-  
ფრჯესა და ვითარცა სირი—ირ-  
ეჭსა“—სინ. მრ. 226,4 (იგავ. 6,5).

„განერე, ვითარცა ქურციკი—სა-  
ფრჯისაგან და ვითარცა მფრინ-  
ველი—მახისაგან“—კიმ. II, 155,27.

**განყენება.**

„ღვნიმან და დედათა განაყენ-  
ნიან გონიერნი გონებათა“—ზი-  
რაქ. 19,2.

„შეცთომილებაჲ... განაყენებს  
კაცთა საშუებელთაგან“—ბა-  
ლავ. 92,18.

„არცა სიკუდილმან ვერ განგუა-  
ყენნეს ჩუენ სიყუარულსა მას  
ქრისტესსა“—რიფს. მარტ. 170.15.

„ბავლე... განაყენებს ჰაბუთა  
ქალწულთაგან და ქალწულთა  
ჰაბუთაგან“—თეკლა 98,8.

„ცოლნი... ქმართა განეყენებოდეს“—აპოკრ. მოც. 44, 5.

„ცოლნი... ქმართა განეყენებოდეს“—იქვე A.

### კრძალვა.

„ეკრძალენით მწიგნობართა, რომელთა ჰნებავეს სამოსლითა სლვაჲ“—ლუკა 20, 46.

„ხეკრძალენით ცრუ წინაწარმეტყუელთაგან, რომელნი მოვიდოდნან თქუნდა“—ხანშ. ტექსტ. გვ. 230.

„ჭეროდეს ეშინოდა იოვანესა, რამეთუ გულითად უწყოდა კაცი იგი მართლად და წმიდად და ეკრძალებოდა მას“—მარკ. 6, 20.

„ცოლისა შენისაგან ეკრძალე და საიდუმლოსა შენსა ნუ უთხრობ მას“—სინ. მრ. 215, 27 (მიქია 7, 5).

### მოკლება.

„მოაკლდა თულთა ჩემთა ხედვაჲ“—Jer.—7, 71r a.

„დავეცი და მოვაკლდი მეცნიერებისაგან“—ლიტ. ქრესტ. 56, 7.

„მოაკლდეს დიდებაჲ ძეთა ქედარისათა“—Jer.—7, 53r b.

„მოაკლდეს მათგან წყალი და პური საპყრობილესა შინა“—სინ. მრ. 259, 19.

„კრძალვა“ და „მოკლება“ ზმნების მოქმედებითი გვარის ფორმებზე მაგალითები არ შეგვხვდრია.

### განვლტოლა.

„წყალი იგი განევლტინ ფერტთა მის ნეტრეულისათა“—აპოკრ. მოც. 41, 2.

„წყალი იგი განევლტინ ფერტთაგან მის ნეტრეულისათა“—იქვე 40, 24.

### გარდაჭდობა.

„ბერი... გარდაჭდა სატედარსა“—გ. მთწმ. 51r.

„იყენეს იგინი ამტედრებულნი და გარდაჭდეს სატედართაგან“—Sym. St. 22, 26.

## V. ირიბი ობიექტი ნანათესაობითარ ვითარებითში

ირიბი ობიექტი ნანათესაობითარ ვითარებითში შემდეგ ზმნებთან შეგვხვდა:

### მიცემა.

„რომელი იგინებოდა და იგი არავის აგინებდა, ეცნებოდა და იგი არავის ავნებდა, მიეცა მსაჯულისა სიცრუვით“—კათ. ეპ. 1 პეტრე 2, 23.

### შეგუანება.

„იყო დღე იგი პირველი, არამედ თავ იყო დღე იგი ერთი, და შეჰგაეხ მისა, რომელი-იგი იტყოდის“—Jer.—44, 10v.

### მიგურა.

(კაცსა მას)... ცოდვაჲ იგი ეშმაკისა მიჰგურიდა და ეშმაკი სიკუდილსა მისცემდა“—სინ. მრ. 43, 13.

**მირქუმა.**

„ნეტარმან ბერმან ცნა, ვითარმედ მოწვეწულ არს აღსრულებაჲ მისი... და მიჰრქუა ნეტარისა თეოდოსისა“—კიმ. II, 175, 31.

**შეძინება.**

შესძინეს სიძულილი მისა“—დაბად. 37,8.

**მიმცნობა.**

„დიდმან ეფთჳმი წარავლინა ნეტარი ესე თეოქტისტცსსა და მიამცნო მისსა, რაჲთა ლუწოდის მას“—კიმ. II, 144, 25.

„მან არარაჲ მისგანი შეიწყნარა, არამედ მიამცნო მისა და ჰრქუა“—ლიმონარი 5,14.

**წარცემა/წარმოცემა.**

„ნეტუში... წარსცა მისა ყოველი საგმარი გორცთაჲ“—ლიმონარი 5,12.

„მეფემან შექმნა წიგნი და წარმოსცა იოვანშსა“—აპოკრ. მოც. 87,40.

**კმა-ყოფა.**

„არა რაოდენ კმაეყო მისა მკლავნი ზისნი, არა ყვნა ეგოდენ“—Jer. 11,36ra.

თანდებულის ბრუნვებში დასმული ობიექტი რომ ბართლა ირიბი ობიექტია, ეს კარგად ჩანს ზემოთ მოყვანილი ზმნების ისეთი ფორმებიდან, რომლებთანაც ირიბ ობიექტად I და II პირებია: ძველ ძეგლებში ამ ზმნებთან ზოგჯერ ირიბობიექტური პირი მ/გუ ან გ პრეფიქსებითაა გამოხატული, ხოლო სათანადო ირიბ ობიექტს წარმოადგენს თანდებულდართული I ან II პირის ნაცვალსახელი.

მაგალითად:

„შემეშურენეს ფრიად ჰურიანი მცხეთელნი ჩემ ზედა“—მოქც. 484A.

„დამეცა ჩუენ ზედა შიში დიდი“—სინ. მრ. 273, 26.

„დაგასხა შენ ზედა ყოველი მფრინველი ცისაჲ“—Jer.—11, 90 vb.

„განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უშჯულოებისანი“—მათე 7,23.

„გამომეც ცოლი ჩემი, რად განმაშორებ ჩემგან“—ლიტ. ქრესტ. 38,33.

„ნუუკუე განგეშოროს შენგან სული ჩემი“—Jer.—7, 105 rb.

„განმეყენენით ჩემგან“—აპოკრ. მოც. 7, 4.

„კოდვთა თქუენთათჳს განგეყენა კეთილი თქუენგან“—Jer.—7,104v b.

„მიგელოს თქუენგან სასუფეველი ღმრთისაჲ“—მათე 21,43.

„არა მომაკლდეს ჩუენგან წყალობაჲ მისი“—სინ. მრ. 178, 35.

მაგალითების დამოწმება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ფაქტის ნათელსაყოფად ესეც უმარა.

პირველივე კითხვა, რაც ზემოთ მოყვანილ მაგალითებთან დაკავშირებით დაისმის, არის შემდეგი: ირიბი ობიექტის თანდებულის ბრუნვებში წარმო-

დგენას ხომ არ განსაზღვრავს იმ ენების თავისებურება, რომლებიდანაც ითარგმნებოდა ძველი ქართული ენის ძეგლები?

ამ ენებს (ბერძნულს, სომხურს, სირიულს, არაბულს) პოლიპერსონალიზმი არ ახასიათებს, ამიტომაც, რომ ქართული წინადადების ირიბი ობიექტის შესატყვისად მათში გვხვდება სახელი სხვადასხვა ბრუნვაში როგორც უთანდებულოდ, ისე თანდებულოდ.

თარგმნის პროცესში ზოგჯერ შეიძლება მომხდარიყო ისე, რომ მთარგმნელს ვერ გაეთვალისწინებინა ქართული ენის სტრუქტურისათვის დამახასიათებელი ზოგი თავისებურება. ადვილი მოსალოდნელია, რომ მას, მაგალითად, სათარგმნი ენის თანდებულებიანი სახელი ეთარგმნა თანდებულებიანი სახელითვე და მხედველობიდან გამორჩენოდა ის გარემოება, რომ თანდებულებიანი სახელს ქართულში შეესაბამება ირიბი ობიექტიც, რომლისთვისაც ერთადერთი ბრუნვაა უთანდებულო მიცემითი.

ამ თვალსაზრისით ოთხთავიდან, ძველი აღთქმის გარკვეული წიგნებიდან და ზოგი სხვა ძეგლიდან დამოწმებული მაგალითები შევუდარეთ ბერძნულ და სომხურ პარალელურ ტექსტებს.

შედარების შედეგად აღმოჩნდა, რომ სადაც ქართულში ირიბი ობიექტი ზედა თანდებულებიანი ბრუნვებშია წარმოდგენილი, ცალიან ხშირად იმავე შინაარსის ზმნებთან ბერძნულსა და სომხურში ჰქვ: აჰჷ და *ի վիყო* (= ზედა თანდებულს) წინდებულებიანი სახელები გვაქვს: გან თანდებულებიანი ირიბი ობიექტის შესატყვისად სახელები ბერძნულში ძირითადად *ἄν* წინდებულებიანი ნათესაობითში და სომხურში *ի* წინდებულებიანი დაწყებითში დასტურდება (= ქართულის გან თანდებულებიანი ნათესაობითს). წინაშე და თანა თანდებულებიანი ირიბ ობიექტს ბერძნულსა და სომხურში ასევე ხშირად შეესატყვისება *πρὸς*, *ἐνώπιον*, *ἐμπροσθεν*, *ասոպի* (= წინაშე) და *முᾶ*, *முᾶ* (= თანა) წინდებულებიანი სახელები.

სანიმუშოდ მოვიტანთ მაგალითებს:

„მოვედ და დასდევ ჳელი შენი მის ზედა“ — მათე 9,15(1).

*ἐλθὼν ἐπὶ με εἰς τὴν ἑξῆς σὺ ἐπ’ αὐτῶν.*

*ևկիսյ գիցես զձինքս քի ի վիყო նորս.*

„ეკრძალენით ცომისა მისგან ფარისეველთაჲსა“ — მათე 16,11. *παραπέχουσιν ἕως τῆς ἐσῆτης τῶν φαρισαίων.*

*გვიქცევი ქიხს ქი სამიროქ საფოქსეციე ხე ფარისეციენ.*

„ნუცა დაუდებთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღოროთა“ — მათე 7, 6.

*μηδὲ, βάλθητε τὸν μαργαρίταν ἐμὴν ἐμπροσθεν τῶν χοίρων.*

*ხე მი არქანჯე გამარყარისა ბხრ ასოპი ქი იყავ.*

„რომელთაჲ-იგი სისხლი პილატე შეჰკრია მსხუერპლთა თანა“ — ლუკა 13, 1.

*ὃν τὸ αἷμα Πιλάτου ἔμειξε μετὰ τῶν μισθῶν.*

*ირიე ვარქანჯე ჳიყათიას ქასანხსავ ენჯე ვიანს.*

სრული საფუძველი არსებობს ვიფიქროთ, რომ აღნიშნული მოვლენა მართლა სხვა ენებიდან უნდა ლეზულობდეს სათავეს, ე. ი. რომ ირიბი ობიექტი თანდებულებიანი ბრუნვის ფორმით თარგმნას უნდა იყოს გადმოყოლილი. მაგრამ არის ზოგი ისეთი ფაქტიც, რომელთა გათვალისწინება ამგვარი დასკვნის გამოტანას ხელს უშლის.



აქ აშკარად საქმე გვაქვს იმ სინტაქსურ კონსტრუქციასთან, რომელიც ზემოთწარმოდგენილ ბერძნულ და სომხურ წინადადებებში დასტურდებოდა და რომელიც ქართულისათვის უჩვეულოა<sup>6</sup>.

ზემოხსენებული ტიპის მაგალითები ძველი ქართული ენის ძეგლებში ძალიან ხშირია, მაგრამ, როგორც ზემოთაღნიშნულთა ადვინიშნით, ორიგინალურ ლიტერატურაში მათი ხმარება არ შეინიშნება.

2. მეორე საბუთი, რომელიც, ჩვენი აზრით, აღნიშნული მოვლენის ახსნაში სხვა ენების გავლენა გამოიხატება, არის ირიბი ობიექტის ე. წ. ნანათესაობითარ ვითარებით ბრუნვაში წარმოდგენის ფაქტი.

ირიბი ობიექტის თანდებულის ფორმებს თუ როგორღაც მაინც დავაკავშირებთ სათარგმნ ენებთან, ე. წ. ნანათესაობითარ ვითარებითის ფორმებზე ამას ვეღარ ვიტყვით, მათ ბრუნვას (ე. წ. ნანათესაობითარ ვითარებითს გამორჩეულად ვინ ჯგუფის სახელებისათვის) უცხო ენების გავლენა ვერ განსაზღვრავდა.

3. ჩვენს საკითხთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო სურათს იძლევა ზმნები: **შეწირვა, მიწერა**, (ველის) **მიყოფა, ჩუნება**.

ამ ზმნების თავისებურებათა გათვალისწინება ირიბი ობიექტის წარმოშობასა და განვითარებასთან დაკავშირებულ ზოგ საკითხს გვიჩვენებს.

**შეწირვა, მიწერა**, (ველის) **მიყოფა, ჩუნება** (საარვისო ქცევით) დღეს მოქმედებითი გვარის სამპირიანი ზმნებია, ძველი ქართული ენის ძეგლების მიხედვით კი ისინი ორპირიან გარდამავალ ზმნებს წარმოადგენენ. ირიბი ობიექტი მათთან ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული: წინადადების წევრები, რომელთაგანაც ამ ზმნებთან შემდეგ ირიბი ობიექტი განვითარდა, ე. წ. უბრალო დამატებები და ისინი წარმოდგენილი არიან სხვადასხვა ბრუნვაში გაფორმებული სახელებით.

„შეწირვა“ ზმნასთან ძველ ქართულში ობიექტი, ვისაც რაიმეს სწირავენ, მიცემით ბრუნვაშია წარმოდგენილი, — თუ იგი რა ჯგუფის სახელია და ე. წ. ნანათესაობითარ ვითარებითში — თუ იგი ვინ ჯგუფის სახელია<sup>7</sup>:

„მარიამ დედოფალმა... შემოწირა მარიამ... სულნელებითა სავსენი რა ესე... წმიდასა ამას ეკლესიისა სიტყუანი ღმრთისა შეწირნა“ — სიასა — გ. მთწმ. 234. სინ. მრ. 13, 31<sup>8</sup>.

უბრალო დამატება „შეწირვასთან“ გვხვდება აგრეთვე „წინაშე“, „მომართ“ და „და“ თანდებულებიან ბრუნვებში:

<sup>6</sup> ეს სინტაქსური კონსტრუქცია ადრე შენიშნა აკად. ა. შანიძემ (იხ. ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბილისი, 1957, გვ. 165, სქ. 2), შემდეგ მან ამ კონსტრუქციის არაქართულობაზეც მიუთითა (ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1953, გვ. 356).

<sup>7</sup> „შეწირვა“ ზმნა რომ „ძველ ქართულში მოითხოვს ნათესაობით ბრუნვას (იგულისხმება ე. წ. ნანათესაობითარ ვითარებითი — ც. ქ.), ადრევე იყო შენიშნული: ი. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1956, გვ. 160; ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბილისი, 1957, გვ. 147, სქ. 1.

<sup>8</sup> აღნიშნული დაპირისპირების შეახებ იხ.: ც. ქურციკიძე, ნანათესაობითარ ვითარებითი ძველ ქართულში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. II, გვ. 31 — 43.

„რომელი შესწირავს მსხუერპლსა ქებისასა წინაშე ღმრთისა“—  
ლიტ. ქრესტ. 85, 29.

„შუშანიკ... ზესკნელისა მის მეუფისა მიმართ სათნოსა მას გალობასა  
შესწირვიდა ცრემლით“—ლიტ. ქრესტ. 40, 37.

„შეწირვასთან“ დადასტურებული სურათი ზუსტად მეორდება ზმნასთან  
„მიწერა“. უბრალო დამატება მასთან გვხვდება უთანდებულო მიცემითში (რა  
ჯგუფის სახელები), ე. წ. ნანათესაობითარ ვითარებითში (ფინ ჯგუფის სახე-  
ლები), თანა, მიმართ და და თანდებულებიან ბრუნვებში:

„წარიჭადა მეფემან ბეჭედი ჯელისა და მისცა ჰამანსა და ჰრქუა: მიწერე ყოველსა ქალაქსა და სოფლებსა“.—ესთერ 3, 10.

„ფებრონია... წიგნი მიწერა ნე-  
ტარისა გრიგოლისა“—ლიტ.  
ქრესტ. 127, 8.

„მოწერა ანა მღღელმან იერუსა-  
ლიშმით მამის მამისა ჩემისა  
ოზიაესა“—მოქც. გვ. 468.

(სპარსთა)... „მიწერეს ზენა სოფლად მეფისა მათისა მარზაპნისა  
თანა“—ლიტ. ქრესტ. 167, 31.

„მათ მოწესეთა წიგნი მიწერეს ქართლისა კათალიკოსისა  
მიმართ“—ლიტ. ქრესტ. 145, 34.

„არა მიეწერე თქუენდა, ვითარმედ არა იცით ქეშმარიტებაჲ“—  
კათ. ეპ. იოვ. 2, 21.

რაც შეეხება (ჯელის) მიყოფა ზმნას უბრალო დამატება მასთან ძირი-  
თადად ზედა თანდებულიან მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებშია წარმო-  
დგენილი, გარდა ამისა იგი შეგვხვდა აგრეთვე უთანდებულო მიცემითში (რა  
ჯგუფის სახელები), ე. წ. ნანათესაობითარ ვითარებითში (ფინ ჯგუფის სა-  
ხელები) და და თანდებულიანი ფორმით:

„მე ვარ უფალი, რომელმან მივყავ ჯელი ჩემი ეგვპტესა ზედა“—გა-  
მოსლ. 7, 5.

„ნუ მიჰყოფ ჯელსა შენსა ყრმი-  
სა მაგის ზედა“—დაბად. 22, 12.

„ქაბუქმან მან მიყო ჯელი სუ-  
ეტსა მას“—მოქც. გვ. 479.

„მიყავ ჯელი შენი ყრმისა მა-  
გის“—ჯავახ. აღწ. 192, 10.

და თანდებულიანი ფორმა გვაქვს შემდეგ მაგალითში:

„მოყავთ ჯელი ჩემდა და შემახეთ ჯორცთა ჩემთა“—სინ. მრ. 175, 33.

„ჩუენება“ ზმნის შესახებ აკად. ა. შანიძე შენიშნავს: „თანამედროვე  
ქართულში ეს ზმნა სხვადასხვა ფორმით იხმარება: „აჩვენა“-ც ითქმის და  
„უჩვენა“-ც, მაგრამ მათ შორის ფუნქციებზე განსხვავება არ არის. ამგვარი  
ვითარებაა არსებითად სინურ მრავალთავშიც, ოღონც ეს კია, რომ თუ ირიბი  
ობიექტია წინადადებაში, ზმნა უმეტესად სასხვისო ქცევით იხმარება“<sup>9</sup>.

ძველი ქართული ენის ძეგლებზე დაკვირვებისას აღმოჩნდა, რომ ძველად  
„ჩუენება“ ორპირიანი უნდა ყოფილიყო საარვისო ქცევით და სამპირიანი—  
საობიექტო ქცევით<sup>10</sup>.

<sup>9</sup> სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა აკაკი  
შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბილისი, 1959, გვ. 318—319.

<sup>10</sup> „ჩუენება“-ს მსგავსია ამ შემთხვევაში „მიწერა“ და „მიმცნობა“ ზმნები: „მიამც-  
ნო მისა და ჰრქუა“—ლიმონარი 5, 14, მაგრამ: „მიუშცენ მწერალსა მას დაგარ-

ობიექტი, რომელსაც რაიმეს აჩვენებენ (და რომელიც „უჩუენას“-თან ირიბი ობიექტია), „აჩუენა“ ზმნასთან ან სულ არ ჩანს, ანდა არის, ოღონდ ზედა და მიმართ თანდებულდართული სახელებითაა წარმოდგენილი:

„ამან აჩუენა არაარსი იგი შობაჲ მაშინდელი“ — სინ. მო. 247, 38.

„მეფეთა... ფრიადი სიყუარული აჩუენეს მის ზედა და კეთილად მოიკითხეს“ — იოვ. და ექვთ. 10 მუხლი.

„ზამაო, პირუტყუთაცა ზედა აჩუენე წყალობაჲ შენი“ — გ. მთწმ. 73r. „იგი... უცვალებელად აჩუენებს თავსა თქსსა მამისა მიმართ“ — სინ. მრ. 43, 6<sup>11</sup>.

ჩამოთვლილ ზმნებთან ირიბი ობიექტის არარსებობა უფრო მეკეთრად ჩანს ამ ზმნების ისეთი ფორმებიდან, რომლებთანაც ირიბ ობიექტად I ან II პირია მოსალოდნელი:

„მოყავთ კელი ჩემდა“ — სინ. მრ. 175, 23.

„მივყო კელი ჩემი შენ ზედა“ — Jer. — 11, 41 r a.

„მსხუერპლი შეეწირო შენდა“ — იონა 2, 10.

„შენ ზედა ვაჩუენო ძლიერებაჲ ჩემი“ — გამოსლ. 9, 16 და სხვ.

რაკი შეწირვა, მიწერა, (კელის) მიყოფა, ჩუენება ზმნებთან ირიბი ობიექტი ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ არის, ცხადია, ამ ობიექტის ამსახველი ნიშანიც არ უნდა გვექონდეს, და იგი ამ ზმნების II სერიის ფორმებში არც გვაქვს. მაგრამ ობიექტური პირის ნიშნები უგამონაკლისოდ დასტურდება აღნიშნული ზმნების I სერიის ფორმებში<sup>12</sup>:

„ამას ქებასა შევესწირავ წმიდისა ქალწულისა“ — სინ. მრ. 200, 5.

„შუშანიკ... ზესკნელისა მის მეუფისა მიმართ სათნოსა მას გალობასა შესწირვიდა ცრემლით“ — ლიტ. ქრესტ. 40, 37.

„მოციქული პაველე მისწერს ტიმოთშსა“ — ლიტ. ქრესტ. 57, 8.

„ბერსა... სიტყუაჲცა იგი მოციქულისაჲ ექსენა, რომელსა იგი მისწერს კორინთელთა მიმართ“ — გ. მთწმ. 28 v.

ეს ნიშნები მიცემით ბრუნვაში დასმული პირდაპირი ობიექტის პირის ნიშნები ჩანს (ისინი აღნიშნულ ზმნებს II სერიის მწკრივებში არ გადაჰყვებოდა). როგორც ეტყობა, ირიბმა ობიექტმა ჩამოყალიბებისას ისინი II სერიის ფორმებში გამოიყენა, და ამავე დროს I სერიის ფორმებში უკვე არსებული პირდაპირი ობიექტის (მიცემით ბრუნვაში დასმული ობიექტის) ნიშნებიც ირიბი ობიექტის ნიშნებად გააზრიანდა.

ჩვენი აზრით ამ ფაქტს გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ირიბი ობიექტური პირის ნიშნების წარმოშობის საკითხისათვის საერთოდ.

ქუ — A — 1105, 63 v; „მიწერა წიგნი მისა“... მაგრამ: „მიუწერა წიგნი.. თვედოსი მეფესა“ — Sym. St. 70, 19—20. აღნიშნული ზმნების საარვისო ქცევის ფორმებთან შეთანხმებით პირის (ირიბი ობიექტური პირის) გაჩენამ და მათ მიერ საობიექტო ქცევის ფორმებთან ფუნქციის გაზარებამ ხომ არ განსაზღვრა ამ უკანასკნელთა (საობიექტო ქცევის ფორმების) ხმარებიდან გასვლა?

<sup>11</sup> აღანიშნავია, რომ ძველებში აჩუენა ზნაზე მაგალითები თითო-ოროლა დასტურდება.

<sup>12</sup> ამ პირის ნიშანზე „აჩუენა“ ზმნასთან ვერაფერს ვიტყვით, რადგან იგი ხმოვნით დაწყებული ზნაა და არც ძველ ქართულში და არც ახალში მასთან პირის ნიშანი არ დასტურდება.

ამგვარად, **შეწირვა, მიწერა**, (ველის) **მიყოფა** და **ჩუენება** ზმნებთან ირიბი ობიექტის ჩამოყალიბება სულ ახლო წარსულში მომხდარი ფაქტი ჩანს. თუ ვეფხისტყაოსანში ეს ზმნები გარკვეულად სამპირიანი ზმნებია, ვეფხისტყაოსნისაგან არც თუ ისე დიდი პერიოდით დაშორებულ ძველი ქართული ენის ძეგლებში მათთან ირიბი ობიექტი ჯერ კიდევ არ დასტურდება.

ირიბი ობიექტის განვითარებასთან დაკავშირებით **შეწირვა, მიწერა**, (ველის) **მიყოფა** და **ჩუენება** ზმნებთან დადასტურებული სურათი არ უნდა იყოს კერძო შემთხვევა, რასაც მხოლოდ ამ ზმნებთან ჰქონდა ადგილი, ირიბი ობიექტის ჩამოყალიბების მსგავსი გზა სხვა ზმნებთანაც უნდა ვივარაუდოთ.

მაშასადამე, მიფენა, დაღება, შეძინება, განშორება... ზმნებთან ირიბი ობიექტის თანდებულის ბრუნვებში არსებობას ზოგიერთ კერძო შემთხვევაში შეიძლება მართლაც სათარგმნი ენების გავლენა განსაზღვრავდეს (მაგალითად, ზმნის I და II პირის ფორმებთან), მაგრამ ის გარემოება, რომ 1. თანდებულის ბრუნვებში დასმულ ირიბ ობიექტზე მაგალითები ორიგინალურ ძეგლებშიც ჩვეულებრივია, რომ 2. ირიბი ობიექტი ნანათესაობითარ ვათარებითში სათარგმნი ენების კარნახით ვერ გაჩნდებოდა, რომ 3. **შეწირვა, მიწერა**, (ველის) **მიყოფა** და **ჩუენება** ზმნებთან ირიბი ობიექტი სხვა ირიბ ბრუნვებში დასმული ე. წ. უბრალო დამატებებიდან არის ჩამოყალიბებული, გვაფიქრებინებს, რომ ამ ფაქტის ასახსნელად მარტოოდენ უცხო ენათა გავლენის დაშვება მართებული არ უნდა იყოს.

#### დასომხური წყაროები

##### ა) გამოცემული ძეგლები

1. აპოკრ. მოც.—ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ (IX—XI სს. ხელნაწერთა მიხედვით), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბილისი, 1959.

2. ბლავ.—ბლავარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, თბილისი 1957.

3. თეკლ.—მარტულთა თეკლასი, გამოსცა ილ. აბულაძემ: ენიშქის მთარგმნე, VIII, გვ. 91—124.

4. იოვ. და ექვთ.—გიორგი მთაწმიდელი, ცხორება იოვანესი და ეფთუმესი, გამოსაცემად დამზადა ი. ჯავახიშვილმა, დაიბეჭდა ა. შანიძის რედაქტორობით, თბილისი, 1946.

5. კათ. ებ.—კათოლიკე ებისტოლეთა ქართული ვერსიები, X—XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ქეთევან ლორთქიფანიძემ, თბილისი, 1956.

6. კიმ.—ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, კიმენი, ტ. I, 1918; ტ. II, 1946, გამოსცა კ. ქეკელიძემ.

7. ლიმონარი—იონან მოსხი, ლიმონარი, ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1960.

8. ლიტ. ქრესტ.—ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946.

4. ხელნაწერთა ინსტიტუტის მთარგმნე, IV

9. მათე, მარკ., ლუკა, იოვ.—ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1945.

10. რიფს. მარტ.—წამებაჲ წმიდისა რიფსიმესი და გაიანესი და მოყუასთა მისთაჲ, გამოსცა ილ. აბულაძემ: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. II, თბილისი, 1960.

11. საქმე მოც.—საქმე მოციქულთა ძველი ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1950.

12. სინ. მრ.—სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბილისი, 1959.

13. ხანშ. ტექსტ.—ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის: ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949, გვ. 275—366.

14. ჯავახ. აღწ.—ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ილ. აბულაძის წინასიტყვაობით, თბილისი, 1947.

15. Sym. St.; Ephr.—Vies Géorgiennes de S. Syméon Stylite l'ancien et de s. Êphrem, éditées par Gérard Garitte: Corpus scriptorum christianorum orientalium editum consilio Universitatis Catholicae Americae et Universitatis Catholicae Lovaniensis, vol. 171, Scriptores Iberici, tomus 7, Louvain, 1957.

### ბ) ხელნაწერები

1. დაბად.—დაბადება, გამოსლ.—გამოსლვათა, ლევიტ.—ლევიტელთა—**A**—51 ხელნაწერიდან.

2. ესთერ, ზირაქ, 3 მეფ. (3 მეფეთა)—ხელნაწერთა ინსტიტუტის ფოტობირი № 1 (ოშკის ბიბლია).

3. Jer.—7, Jer.—11, Jer.—44 იერუსალიმის ქართული ხელნაწერების კოლექციის №№ 7, 11, 44 ხელნაწერები.

4. H—341—ხელნაწერთა ინსტიტუტის H კოლექციის № 341 ხელნაწერი.

5. A—1105—ხელნაწერთა ინსტიტუტის A კოლექციის № 1105 ხელნაწერი.

6. მოქც.—მოქცევაჲ ქართლისაჲ, ხელნაწერიდან S—1141 (გვ. 434—500).

7. გ. მთწმ.—გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება, ხელნაწერიდან S—353.

### Ц. И. КУРЦИКИДЗЕ

## ПАДЕЖИ КОСВЕННОГО ОБЪЕКТА В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

### Резюме

В памятниках древнегрузинского языка при некоторых глаголах косвенный объект встречается не только в дательном падеже без пред-

ლოგა. но и в дательном и в родительном падежах с предлогами („ზედა“, „თანა“, „წინაზე“, „გან“, zeda, tana, činaše, gan) и в т. н. отгнетивном направительном падеже.

Например:

„მივჭვინო გულისწყრომა ჩემი სიონსა ზედა“ (Косвенный объект в дательном падеже с предлогом „ზედა“ zeda).

„რომელთა-იგი სისხლი პილატე შეჰრია მსხუერპლთა თანა“ (Косвенный объект в дательном падеже с предлогом „თანა“ tana).

„წინაზე გიორგი დმრთის-მსახურისა ყოველივე ხილული და სმენილი წარმოუთხრეს“ (Косвенный объект в родительном падеже с предлогом „წინაზე“ činaše).

„ვერვინ განმაშოროს მე ქრისტესგან“ (Косвенный объект в родительном падеже с предлогом „გან“ gan).

„კაცსა მას ცოდვა იგი ეშმაკისა მიჰგურიდა“ (Косвенный объект в отгнетивном направительном).

Причиной этого явления можно было бы считать влияние тех языков, глаголы которых не характеризуются полиперсонализмом, и с которых в старину переводились грузинские памятники.

Однако такого рода объяснению этого факта противоречат следующие обстоятельства:

1. Косвенный объект в дательном и в родительном падежах с предлогами встречается не только в переведенных памятниках, но и в оригинальных.

2. Влияние других языков совершенно исключается в тех случаях, когда косвенный объект стоит в отгнетивном направительном падеже.

3. При наблюдении над памятниками древнегрузинского языка выявляется, что при глаголах „შეწირვა“ (жертвовать), „მიწერა“ (написать), „(ველის) მიუოტა“ (коснуться), „ჩუენება“ (показать) косвенный объект оформлен из т. н. простых дополнений, которые употреблялись в дательном и в родительном падежах с предлогами „წინაზე“ činaše, „თანა“ tana, ზედა“ zeda, „მიმართ“ mimart и отгнетивном направительном падеже. Нужно полагать, что такое оформление косвенного объекта имело место и с другими глаголами.

Следовательно, факт характеризующий памятники древнегрузинского языка—употребление косвенного объекта в дательном и в родительном падежах с предлогами („წინაზე“, „ზედა“, „თანა“, „გან“) и в отгнетивном направительном,—по нашему мнению, не объясняется только влиянием других языков.